პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 21 (4015)

31 1970 წ. იანვარი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ციგრან პეტროსიანი — ჩემპიონი მესამედ!

„მნიშვნელოვანი და სასარგებლო ნაბიჯი“

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ს. პავლოვს. საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი ა. რომანოვი და ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსი ვ. კოვალი. სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად ლაპარაკი იყო მოსკოვის წინადადებაზე XXI ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის თაობაზე.

საკდესის კორესპონდენტმა საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს სთხოვა გამოეთქვა აზრი მოსკოვის წინადადების შესახებ.

ჟან დე ბომონმა თქვა, რომ ამ წინადადებით მოსკოვმა მნიშვნელოვანი და სასარგებლო ნაბიჯი გადადგა საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში. თუ იგი ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლებას მიიღებს, ასპარეზობა ბრწყინვალედ ჩატარდება.

ჟან დე ბომონი მოსკოვში პირველად არ ჰარის. მისი აზრით, ბოლო წლებში საბჭოთა კავშირის დედაქალაქი ძალიან შეიცვალა. „ყველგან მიმდინარეობს ახალი მშენებლობები. გაჩნდა ახალი შენობები. ქალაქი მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობს,—აღნიშნა მან.— მე დიდი სიამოვნებით ჩამოვიდოდი აქ კიდევ ერთხელ და არა მხოლოდ 1976 წლის ოლიმპიადაზე“.

* * *

ჰელსინკი, 29 იანვარი. მოსკოვმა დიდი ხანია მოიპოვა ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება. საბჭოთა კავშირში ყველა წინაპირობა არსებობს ამ დიდი სპორტული დღესასწაულის სანიმუშოდ ორგანიზაციისთვის, — თქვა დღეს პრეს-კონფერენციაზე ოლიმპიური მოძრაობის ვეტერანმა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრმა ე. ფონ ფრენკელმა.

პრეს-კონფერენცია მოეწყო ფინეთში სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის კ. ანდრიანოვისა და სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის ვ. სავინის ჩამოსვლის გამო.

კ. ანდრიანოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1976 წლის ოლიმპიადის მოსკოვში ჩატარების იდეას მხარს უჭერენ როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ფინელი წევრები, ისე ფინეთის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები. ჰელსინკში შეხვედრის დროს ლაპარაკი იყო საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ოლიმპიური კომიტეტების თანამშრომლობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.



სპორტი ერთვიოლსკიდან

გუშინ...

სპორტის სასახლეში დაიწყო თბილისის IX ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ხალიჩაზე გამოდიან ბულგარეთის, გდრ-ის, ირანის, მონღოლეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ათლეტები.

დღისით გაიმართა პირველი წრის შეხვედრები და ზოგიერთ წონით კატეგორიაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ... შეჯიბრების ფავორიტები. მაგალითად, 52 კგ წონით კატეგორიაში სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონის შეყრილაძის მეტოქე მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ალბარიანი იყო. ორივე მეტოქე ფრთხილობდა და შერკინება ისე დამთავრდა, რომ ვერც ერთმა მოჭიდავემ იღუთის ჩატარება ვერ მოახერხა — ფრე. ამ წონით კატეგორიაში კარგი მომბეჭდილება დატოვა გიორგაძემ, რომელმაც ქულებით სძლია ჩერნაუს (რუმინეთი).

57 კგ წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს ალიმეგაშვილს ძლიერი ირანელი ათლეტი აბდულბაკერი ჰყავდა მეტოქედ. ქულებით გაიმარჯვა ირანელმა. ამ წონით კატეგორიაში გამოდის მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ა. ალიევი, მაგრამ პირველ წრეში იგი თავისუფალი იყო.

62 კგ. დგებუაძემ ქულებით სძლია ირანელ დეკტამდის. მსოფლიო პირველობის პრიზიორმა აბდულბეკოვმა ჭუსეინოვის პასიური ჭიდაობის გამო წმინდა მოგება ჩაიწერა.

68 კგ. მართლაც დიდოსტატურად იჭიდავა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორმა ნ. ხოხაშვილმა, რომელმაც 8 წუთსა და 20 წამში ბეჭებზე დასცა ნეუსტროევი. წმინდად მოიგო, აგრეთვე, ცანავამ (მ. ალიევთან).

74 კგ. ქულებით გაიმარჯვეს მენთეშაშვილმა და ჟურულმა: პირველმა დაამარცხა გდრ-ის წარმომადგენელი ნიჩკე, ხოლო მეორემ — არაქელიანი.

დანარჩენ წონით კატეგორიებში პირველი წრის შეხვედრები საღამოს გაიმართა.

დღეს შეჯიბრება გრძელდება (დასაწყისი 11 ს. და 19 ს.).

თავისუფალი ჭიდაობა

რეკორდები

კორტინა დ'ამპეცო, 28 იანვარი. იტალიის ამ მაღალმთიანი კურორტის საციგურაოზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ჰოლანდიელმა ი. ბოლსმა 3000 მეტრზე რბენაში ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა — 4.16,4. ეს შედეგი 0,7 წამით სჯობს ნორვეგიელი დ. ფორნესის ძველ მიღწევას. ბოლსმა ამ ბრწყინვალე წარმატებას „დორიას თასის“ ტრადიციულ გათამაშებაში მიაღწია, რომელშიც 10 ქვეყნის მოციგურავეები მონაწილეობდნენ. ჰოლანდიელმა თავისივე არაოფიციალური მსოფლიო მიღწევა გააუმჯობესა მცირე მრავალჭიდში — 168,070 ქულა.

* * *

ალმა-ათა, 29 იანვარი. ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე საერთაშორისო შეჯიბრებაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჰოლანდიისა და სსრ კავშირის მოციგურავეები ჩაებნენ. მედეუს მაღალმთიან საციგურაოზე ასპარეზობის პირველივე დღე ახალი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა: მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა, 23 წლის ვ. მურატოვმა 500 მ 38,73 წამში გაიარბინა. ამრიგად, შვიდი ჰ. ბიორიესის აქ დამყარებულმა მსოფლიო რეკორდმა (38,87) მხოლოდ ოთხ დღეს იარსება.

მოსკოვი, 30 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინწინ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გათამაშდა ტ. პეტროსიან — ლ. პოლუგაევსკის მატჩის V პარტია. ბრძოლა საინტერესოდ წარიმართა და 38-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ამით პეტროსიანმა მისთვის საჭირო 3,5 ქულა მოაგროვა და ოქროს მედალიც დაისაკუთრა. მან მოიგო მატჩი ქვეყნის ჩემპიონის სახელისთვის ანგარიშით 3,5:1,5 (VI პარტია არ შედგება).

იმავე საღამოს შევხვდი სსრ კავშირის ახალ ჩემპიონს.

● **მერამდენედ გახდით ჩემპიონი?**

— მესამედ. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატში ბოლოს 1961 წელს ვითამაშე.

● **რას იტყვით მატჩის ხასიათზე?**

— 25 წელია სხვადასხვა სახის ბევრ შეჯიბრებაში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ ასეთ სპრინტერულ, ისიც შეკვეცილ მატჩში არასდროს მითამაშია. 6 პარტია ძალიან ცოტაა. ვფიქრობ, ასეთ მატჩში გამარჯვების ბედს სტარტის ავ-კარგი განაპირობებს.

● **როგორ თამაშობდა პოლუგაევსკი?**

— ჩემი აზრით, მან I პარტიის წაგებით სულიერი სიმშვიდე დაკარგა. სულ რევანშზე, ანგარიშის გათანაბრებაზე ფიქრობდა. ეს არ ასვენებდა, რისკისკენ უბიძგებდა.

● **რაიმე თეორიული სიახლე თუ გამოიყენეთ მატჩში?**

— დიდი არაფერი, პარტიები კი შინაარსიანი გამოგვივიდა.

● **საჭადრაკო სეზონი მხოლოდ დაიწყო. რა გეგმები გაქვთ?**

— პირველ ყოვლისა, უნდა მივხედო ჩემს სარედაქტორო საქმეებს ყოველკვირეულ დამატებაში „64“. რა თქმა უნდა, ვიმეცადინებ, რათა კარგად გამოვიდე სსრ კავშირ — „დანარჩენი მსოფლიოს“ მატჩში, XIX საჭადრაკო ოლიმპიადაში — მიუნჰენში, და სხვა ტურნირებში.

● **მოვუგებთ „დანარჩენ მსოფლიოს“?**

— ჩემი აზრით, მოვუგებთ. საჭიროა საფუძვლიანად მოვემზადოთ. შეკვეცილ სპრინტერულ ოთხ პარტიაში მატჩების თამაში ოღლი როდი იქნება.

საერთოდ, ეს მატჩი ისტორიული მოვლენაა. თვით შეხვედრის იდეა ძალიან მიმზიდველია: ერთი ქვეყნის მოჭადრაკეები ხვდებიან ჩვენი პლანეტის ყველაზე თვალსაჩინო კოლეგებს. ალბათ ამიტომაც ეს უჩვეულო ორთაბრძოლა მსოფლიოში დიდ ინტერესს იწვევს.

* * *

სურათზე: ტ. პეტროსიანი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

შთამბეჭდავი უპირატესობით

გუშინწინ მოსკოვში დამთავრდა საბჭოთა და იუგოსლავიელ მოჭადრაკე ქალთა მეგობრული მატჩი. გაიმარჯვეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა — 17,5:6,5.

მატჩის დასკვნითი, IV ტურის წინ შედგა I ტურში ნ. გაფრინდაშვილ — მ. ლაზარევიჩის გადადებული პარტიის დამთავრება. მსოფლიო ჩემპიონმა ადვილად გამოიყენა ზედმეტი პაიკის უპირატესობა და გაიმარჯვა.

IV ტურში ექვსივე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა — 3:3.

მასპინძლებმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ იუგოსლავიელი მოჭადრაკეები ჩვენების შემდეგ პირველნი არიან მსოფლიოში.

გთავაზობთ მეგობრული მატჩის საბოლოო შედეგების ცხრილს.

სსრ კავშირი — იუგოსლავია

	I	II	III	IV		IV	III	II	I	
ნ. გაფრინდაშვილი	1	1	1	0,5		0,5	0	0	0	მ. ლაზარევიჩი
ა. კუშნირი	0,5	1	1	0,5		0,5	0	0	0,5	თ. ბელამარიჩი
ტ. ზატულოვსკაია	0	0	1	0,5		0,5	0	1	1	კ. იოვანოვიჩი
ე. რუბცოვა	1	1	1	0,5		0,5	0	0	0	ლ. ეიკოვიჩი
ნ. კონოპლიოვა	0	1	1	0,5		0,5	0	0	1	ტ. ვუიანოვიჩი
ვ. კოზლოვსკაია	1	1	1	0,5		0,5	0	0	0	ზ. ტორმა

ამრიგად, საბჭოთა მოჭადრაკეებმა სამი მიკრომატჩი მოიგეს ანგარიშით 3,5:2,5, 5:1, 6:0 და ერთიც ყაიმით (3:3) დაამთავრეს. გამარჯვებაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანეს ნ. გაფრინდაშვილმა, ე. რუბცოვამ და ვ. კოზლოვსკაიამ.

* * *

მეგობრული მატჩის შემდეგ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ელვისებური ტურნირი გაიმართა. ბრძოლაში 6 ქალი და ორი ვაჟი — ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი ჩაება. I ადგილი დაიკავა ნ. გაფრინდაშვილმა — 7 ქულა 7-დან.



ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲕᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘ

ᲡᲘᲮᲝᲢᲔ-ᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲬᲧᲜᲐᲠᲘ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲖᲚᲕᲔᲑᲐᲛᲓᲔ...

ᲕᲚᲐᲓᲘᲕᲝᲡᲢᲝᲙᲘ, 28 იანვარი. შორეული აღმოსავლეთის სპორტულ შტაბს უხილავი ძაფები აკავშირებს ასობით ათასეულ ფიზკულტურელთან. პრიმორსკის ფიზკულტურისა და სპორტის სამსარეო კომიტეტის თავმჯდომარე კ. ოლიფირენკო ამბობს: სპორტულ შეჯიბრებათა სარბიელი უზარმაზარია — იგი სიხოტე-ალინის მთებიდან წყნარი ოკეანის ყველაზე შორეულ ზღვებამდეა გადაჭიმულიო...

— თუ შეიძლება გვიამბეთ მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის შესახებ შორეულ აღმოსავლეთში, — სთხოვა საკადესის კორესპონდენტმა ვ. კლიმენტიევმა ოლიფირენკოს.

— მე, პირველ ყოვლისა, მეზღვაურების და ნავსადგურის მუშაკების შეჯიბრებები უნდა აღვნიშნო. ახლა ტრადიციულ სპარტაკიადებთან ერთად ტარდება მასობრივი შეჯიბრება წყნარი ოკეანის თასზე, რომელიც „ვოლნიკის“ მიერაა ორგანიზებული.

ამ თასისთვის იბრძვიან 600-ზე მეტი ხომალდის ეკიპაჟები, რომლებიც წყნარი ოკეანის აუზში დაცურავენ. მათ შორის უკვე ჩატარდა 2000-მდე მატჩი ფეხბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთსა და ბევრ სხვა სახეობაში. რასაკვირველია, განსაკუთრებული რეკორდები არ მყარდება. სამაგიეროდ, მეზღვაურები იკაჟებენ ჯანმრთელობას, იკრძალენ მხნეობას ჩრდილოეთისა და ტროპიკული განედების მკაცრ პირობებში სამოგზაუროდ. უძლიერეს ეკიპაჟებს მშვიდობისა და მეგობრობის საპატიო პრიზები აპრილში გადაეცემათ.

ამჟამად ყველაზე მეტ მნიშვნელობას სპორტის საწყოსნო სახეობების განვითარებას ვანიჭებთ და სასურველ შედეგებსაც მივაღწიეთ: ჩვენი სპორტსმენები ერთ-ერთი უძლიერესნი არიან საბჭოთა კავშირში. სწორედ ვლადივოსტოკის ფიზკულტურულ კოლექტივებში აღოზარდნენ ისეთი ნიჭიერი ნიჩბოსნები, როგორიც არიან ლ. მოისეენკო, ვ. რადჩენკო, ვ. ივანჩენკო, ა. ლუჩკო და სხვები.

ვითარდება აფროსნობა. იაპონიის ზღვის ნაპირებზე მიმზიდველ ლამჭრობებს აწყობენ ნახოდკის გემმშენებლები საკრეისერო იახტა „ვრენადით“, რომელიც მალე ააგეს.

— როგორ არის საქმე ხმელეთზე? რა კეთდება საკარხნო, სტუდეტური, სასკოლო კოლექტივებში?

— გვახარებს სოფელ ტეტიუხეს (სიხოტე-ალინის მთებში) ფიზკულტურელთა წარმატება. ეს კოლექტივი მუშაობს დევიზით: „რაც შეიძლება მეტი მშრომელი გავაერთიანოთ სპორტულ სექციებსა და გუნდებში“. სპარტაკიადები „სიხალისა“ და კრასნორჩენსკის კომბინატებში ათასობით მუშა-მოსამსახურეს იზიდავს.

კარგი სპორტული კოლექტივებია შექმნილი არსენიევის მანქანათმშენებელ ქარხანა „პროგრესში“, მეშახტეთა ქალაქ სუჩანში. მდიდარი სპორტული ტრადიციები აქვთ ვლადივოსტოკელ მშენებლებსაც. მათი მოთ[illegible] ლამურეები, ძალოსნები, მძლეოსნ[illegible] ხშირად იმარჯვებენ საქალაქო, სა[illegible]რეო და ზონალურ შეჯიბრებებში.

— გვიამბეთ მასობრივი სარგებ[illegible]ბის სპორტულ ნაგებობათა მშენებ[illegible]ბაზე.

— ინტენსიურად შენდება მასობ[illegible]ვი ფიზკულტურული მოძრაობის ბ[illegible]ბი ახალგაზრდა ქალაქ-ნავსადგ[illegible] ნახოდკაში. საინტერესო თაოსნობა [illegible] მოიჩინეს ვლადივოსტოკის სახლ[illegible] თვალობებმა. მათ ბავშვებისთვის [illegible] წყვეს ათობით საციგურაო და ა[illegible] მოედანი. მარტივი სათამაშო კომ[illegible]ქსები ქალაქის ყველა სკოლასთან [illegible] და შეიქმნას.

გადასაწყვეტი პრობლემები? ა[illegible] გვაკლია. მაგალითად, მოსაგვარებ[illegible] ფიზკულტურელთა ინვენტარით [illegible]რაგების საკითხი. არ გვყოფნის [illegible]თები, საჭიდაო ხალიჩები. კარგი [illegible]ბა, რომ „სპარტაკის“, „დინამ[illegible] „ოროჟაის“ და სხვა საზოგადოებ[illegible] სპორტსმენებს საკმარისი რაოდენ[illegible] ჰქონდეთ ტრადიციული ფორმა.

და კიდევ ერთი: სავსებით ვეთან[illegible]ბი ჩვენს მეზობლებს — ხაბაროვ[illegible]ლებს, რომლებიც ამას წინათ [illegible] „სთვეტსკი სპორტის“ ფურცლებზ[illegible] მოვიდნენ: დროა ჩვენმა ცნობ[illegible] მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა [illegible]რეულ მხარეებსაც მოაკითხონ. ეს ხ[illegible] შეუწყობს მასობრივი ფიზკულტ[illegible]ლი მოძრაობის განვითარებას.

ᲤᲠᲔᲓ ᲙᲣᲓᲣ: ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲖᲛᲘᲗ ᲛᲔᲕᲧᲣᲠᲔᲑ

სანამ მთლიანად პედაგოგიურ მოღვაწეობას მოჰკიდებდა ხელს, ტარტუს უნივერსიტეტის დოცენტი ფ. კუდუ საბჭოთა კავშირის ათჭიდელთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი იყო. ახლაც იგი მძლეოსნური ათჭიდის საკავშირო მწვრთნელთა საბჭოს უდგას სათავეში.

აას-ის თხოვნით სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ფ. კუდუს ინტერვიუ ჩამოართვა სპორტულმა ჟურნალისტმა ე. ტეემიაგინმ.

● თუ გადავხედავთ ათჭიდში მსოფლიო რეკორდების ქრონოლოგიას და რეკორდების თანამედროვე ცხრილს ათი წლის წინანდელს შევადარებთ, დარჩება შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა სპორტსმენებმა პოზიციები დათმეს. რით შეგიძლიათ ახსნათ ეს?

— თავს ნებას მივცემ მთლიანად არ დავეთანხმოთ. მართლაც, საბჭოთა ათჭიდელი ვ. კუზნეცოვი თავის დროზე ორჯერ იყო მსოფლიო რეკორდის ავტორი, მაგრამ ცოტა ხნით. მისი მიღწევები გააუმჯობესა ზანგმა სპორტსმენმა, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა რ. ჯონსონმა. საბჭოთა სპორტსმენებმა ჯერჯერობით ვერ შეძლეს მტკიცედ დაუფლებოდნენ მსოფლიო რეკორდს ათჭიდში. წარმატების მიღწევისთვის საჭირო იყო სისტემატური, ფართო მომზადების ორგანიზება.

რაც უფრო განიერია საძირკველი, მით უფრო მაღალი და მტკიცეა პირამიდის პიკი. ასეა სპორტშიც. მაღალ შედეგებს მასობრიობა განსაზღვრავს. მაგრამ მძლეოსნობის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ათჭიდის მასობრიობას ჩვენში დიდხანს არ ექცეოდა საჭირო ყურადღება. მდგომარეობა შეიცვალა ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ. ახლა ჩვენ შესანიშნავი ბაზა გვაქვს — სეზონის განმავლობაში 50 სპორტსმენზე მეტმა გადააბიჯა 7000 ქულის ზღვარს. ათჭიდელთა ასეთი ძლიერი გვარდია არც ერთ სხვა ქვეყანაში არ მოიპოვება.

სწორედ ამიტომ გვაქვს საფუძველი, რომ მომავალს ოპტიმიზმით შევხედოთ. ვ. ჩელნოკოვი და ნ. ავილოვი, რომლებიც წარმატებით გამოვიდნენ ევროპის ჩემპიონატში, ჯერ მსოლოდ 21 წლისანი არიან, ლ. ლიტვინენკო კი ერთი წლით მათზე უმცროსიცაა. სსრ კავშირის ახალი რეკორდსმენი ვ. შჩერბატიხი (8032 ქულა) 24 წლისაა. მათ ჯერ კიდევ წინა აქვთ ათჭიდელისთვის ყველაზე ნაყოფიერი ასაკი. ჰორიზონტზე კი ახალი სახელები გამოჩნდა: იუნიორებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი რ. ზიგერტი (7312), სოფიის ჭაბუკთა საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებული, 18 წლის ა. ბლინიაევი (7286). ბოლო საკავშირო ჩემპიონატში ყურადღება მიიქცია მათმა თანატოლმა ე. კისელიოვმა, როცა შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში შევიდა.

გვყავს მწვრთნელთა კარგი კადრები, სპეციალისტები, რომლებმაც თავი გადააგეს ათჭიდს — მძლეოსნობის ყველაზე ძნელ სახეობას.

● სპორტულ სამყაროში კარგად არიან ცნობილი თქვენი აღზრდილები — ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი რ. აუნი, მსოფლიო ათჭიდის ვარსკვლავი ორმოციან წლებში ჰ. ლიპი, ბ. პაალო, რომელმაც 7800 ქულას მიაღწია, და ბევრი სხვა. რა შეგიძლიათ თქვათ დღევანდელ ათჭიდზე ესტონეთში?

— ჩვენს პატარა რესპუბლიკაში ათჭიდის ტრადიციები მეტად მდიდარია და იწყება 20-ანი წლებიდან ფენომენალური ა. კლუმბერგით, რომელიც მაშინ მსოფლიო რეკორდს ფლობდა. მაგრამ დღესდღეობით ვერც ერთმა ესტონელმა ვერ შეძლო მწვერვალზე დარჩენა. 1969 წლის საუკეთესო მიღწევად უნდა ჩაითვალოს ვერცხლის მედალი საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც უამინდობის პირობებში მოიპოვა ტალინელი მწვრთნელის ე. უუკის აღსაზრდელმა ტ. ბერენდსენმა (7731 ქულა). 1969 წელს მაღალი კლასის შედეგი (7500 ქულაზე მეტი) აჩვენა კიდევ რამდენიმე სპორტსმენმა: ტ. სურვიალიმ, რ. აუნმა, ი. ოტსმაამ, ი. ლემბერმა და ბ. ტოლმაჩოვმა.

შვეიცის ათჭიდელებთან შეხვედრაში, რომელიც ტალინში გაიმართა, ესტონელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ. ჩვენმა სამმა იუნიორმაც კი 6800-ქულიან ზღვარს გადააბიჯა, მაშინ, როცა შვეიცის გუნდში უფროსებს შორის საუკეთესომ აჩვენა შედეგი 6500 ქულის ფარგლებში.

ამჟამად ჩვენ გვყავს ახალგაზრდა ათჭიდელები, რომლებიც უფრო ძლიერად ასპარეზობენ, ვიდრე რ. აუნი მათს ასაკში. ვიმედოვნებ, რომ გარკვეული დროის შემდეგ ზოგიერთი მათგანი გაუსწრებს სახელგანთქმულ თანამემამულეს. თუმცა არც აუნს დაუნებებია თავი სპორტისთვის. ტრავმა, რომელიც მექსიკის ოლიმპიურ თამაშებში მიიღო, კარგა ხანს არ აძლევდა მას სრული ძალით ვარჯიშის საშუალებას. მაგრამ ახლა იგი ჯანმრთელადაა და დიდი ხანია დაიწყო მზადება 1970 წლის სეზონისთვის.

● რამდენიმე სიტყვა მეტოქეებზე...

— სხვებზე უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებენ გდრ-ის ათჭიდელები. ი. კირსტი, რ. დემიგი და მ. აპტი ახალგაზრდები არიან და კარგი ფიზიკური მონაცემებიც აქვთ. განსაკუთრებულ იმედს იძლევა 20 წლის აპტი (სიმაღლე — 190 სმ, წონა — 89 კგ).

გფრ-ში ათჭიდი კრიზისს განიცდის. ვ. ფონ მოლტკემ, ჰ.-ი. ვალდემ და მ. ბოკმა იმ ასაკს მიაღწიეს, როცა უკვე საჭიროა ფიქრი დიდ სპორტთან გამოშვიდობებაზე, ხოლო ვეტერანების ღირსეული ცვლა ჯერ არ ჩანს, თუმცა ნიჭიერი ახალგაზრდა ათჭიდელები დასავლეთ გერმანიაშიც არიან.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ამ ქვეყანაში ათჭიდის უმეტესი ორგანიზაციისა და მასობრივი შეჯიბრებების ჩატარების პირობებში მეტის მიღწევა შეიძლებოდა. ამას აუცილებლად შეუწყობს ხელს ამერიკისა და ევროპის სპორტსმენებს შორის გახშირებული შეხვედრები. იქ ათჭიდს მასობრიობა აკლია, ეს კი მომავლისთვის სახიფათო ნიშანია.

● რაშია მაღალი შედეგების საიდუმლოება?

— ათჭიდი, პირველ ყოვლისა, კარგ ფიზიკურ მონაცემებს მოითხოვს. 180 სანტიმეტრზე ნაკლები სიმაღლითა და 80 კილოგრამზე ნაკლები წონით არსებითს ვერაფერს მიაღწევ.

ოსტატობის მიღწევა ათ სახეობაში — რბენაში, ხტომაში, ტყორცნაში, დიდ დროს მოითხოვს. აქ კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სპორტსმენის გამძლეობას, ნებისყოფას, სიმტკიცეს, მზადყოფნას ხანგრძლივი, ჩაკირკიტებული შრომისთვის, ხოლო შემდეგ — თანაბარი სიძლიერის მეტოქესთან ბრძოლის სურვილს.



ამ მოზვერ-რობოტს ტეხასის კოვბოების სკოლის მანეჟში შეხვდებით. რადიოთი გაცეშულ ბრძანებაზე ოთხფეხა რობოტი ისე მარჯვედ იქცევა, რომ ყველა კოვბოი ვერ შეძლებს მას დაეწიოს. სკოლის ხელმძღვანელები კმაყოფილი არიან ამ სიახლით. კმაყოფილი რჩებიან მომავალი კოვბოებიც — ელექტრული მოზვერი... არ ირქინება.

ფოტო ჟურნალ „შტერნიდან“.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ

ცნობილი გახდა ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე საზონათშორისო ტურნირის კიდევ ორი მონაწილე. ცენტრალური ამერიკის ზონის ერთადერთი საგზური დაისაკუთრა ე. ჰიმენესმა (კუბა). ეკვადორის ქალაქებში კიტოსა და გუაიაკილში გამართულ ზონალურ ტურნირებში მან და ეკვადორელმა ო. იეპესმა აჯობეს ყველას. კიტოში ჰიმენესი და იეპესი დამატებით მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვა კუბელმა მოჭადრაკემ.

ასეთივე დამატებითი მატჩი ჩატარდა კანადის ზონაში გამარჯვებულთა — დ. სათლზსა და ზ. ვრანეშიჩს შორის. გაიმარჯვა სათლზმა — 2,5:1,5.

LᲡᲐᲐᲖᲘᲐᲪᲘᲝ სპორტის [illegible] თაშორისო ფედერაცია [illegible] ორ წელიწადში ერთხელ ა[illegible] მსოფლიო ჩემპიონატებს [illegible] პილოტაჟში. ერთიმეორის მიყ[illegible]ბით სწყდებიან მიწას ფრთ[illegible]ოსტატები, სიმაღლეს აიღებენ [illegible]იწყება თავბრუდამხვევი ფიგურ[illegible] კასკადი.

როგორ განვსაზღვროთ ამ [illegible]ბრების არსი? ფრანგულად [illegible] უწოდებენ ხან „ფიგურულ [illegible]ნას“, ხან „საჰაერო ბოლთი[illegible]ბას“, ინგლისურად „აერობატ[illegible]ესე იგი, საჰაერო აკრობატ[illegible] თუმცა, რასაკვირველია, მთა[illegible] არა სახელი, არამედ ის, რომ [illegible]ფლიო ჩემპიონატში მონაწილ[illegible] სხვადასხვა ქვეყნის თან[illegible] უფრო მეტ სპორტსმენს სურ[illegible].

მოსკოვის IV მსოფლიო ჩემ[illegible]ნატმა (1966 წ.) ტრიუმფი [illegible]ტანა საბჭოთა მფრინავებს. [illegible]ვი ჩემპიონატი მაგდებ[illegible] (გდრ) ამინდის მკვეთრად [illegible]რეხების გამო ბოლომდე არ [illegible]მაშებულა. 1970 წლის ზაფხ[illegible] ფრთოსან ოსტატებს ახალი [illegible]ელით: VI მსოფლიო ჩემპი[illegible] ჩატარდება ინგლისში, ჰალ[illegible]ტონის სამხედრო-საჰაერო [illegible]ზე, ლონდონიდან 120 კილ[illegible]რის დაშორებით.

როგორი იქნება ჩემპიონ[illegible] როგორ ემზადებიან ამ შეჯიბრ[illegible]თვის საბჭოთა მფრინავი-სპო[illegible]მენები? აას-ის კორესპონდ[illegible] მ. ზასლავსკიმ ამ შეკითხ[illegible] პასუხის გაცემა სთხოვა სსრ [illegible]რის სათვითმფრინავო სპ[illegible] ფედერაციის თავმჯდომარ[illegible] კოსს.

— ამას წინათ პარიზში გაი[illegible]ფაი-ს უმაღლესი პილოტაჟის [illegible]სიის სხდომა, — თქვა ა. კოს[illegible] რომელსაც მეც დავესწარი ცნობილ[illegible]ჭოთა მფრინავთან ვ. მარტემიან[illegible] ერთად. ჩვენთან ერთად 1970 [illegible] მსოფლიო ჩემპიონატის რეგლამ[illegible] პროექტს განიხილავდნენ ინგლ[illegible]ავსტრიის, უნგრეთის, გდრ-ის, ჩ[illegible]თის, პოლონეთის, აშშ-ს, ჩეხოს[illegible]კიისა და შვეიცარიის წარმომა[illegible]ლები.

რა წინადადებებით ჩავიდა პა[illegible] საბჭოთა დელეგაცია? სსრ კავ[illegible] სათვითმფრინავო სპორტის ფედ[illegible]ითვალისწინებდა, რომ სხვადასხვ[illegible]

ᲛᲝᲙᲠᲘᲕᲔᲑᲘ

ახალ სპორტულ სეზონს საბჭოთა მოკრივეები აშშ-ს ნაკრებთან საპასუხო შეხვედრებით ხსნიან. პირველ მატჩში, რომელიც 11 თებერვალს მოსკოვში, ლუჟნიკის სპორტის სასახლეში შედგება, საბჭოთა ოსტატები ძირითად შემადგენლობას გამოიყენებენ, ხოლო მეორეში — 14 თებერვალს მინსკში — ახალგაზრდულს. მოგაგონებთ, რომ სსრ კავშირ — აშშ-ს მატჩი შარშან ოქტომბერში ამერიკის ქალაქ ლასვეგასში დამთავრდა საბჭოთა მოკრივეების გამარჯვებით — 6:5.

როგორც მუდამ, საბჭოთა მოკრივეები ბევრ საერთაშორისო ტურნირში გამოვლენ: აპრილში — ბულგარეთში, მაისში — პოლონეთსა და ჩოლ[illegible]ში, ივლისში — იტალიაში, აგ[illegible]ში — გდრ-ში, ოქტომბერში — [illegible]ში, ნოემბერში — იუგოსლავიაშ[illegible]

ბევრი შეხვედრაა დაგეგმილი [illegible] შორე რესპუბლიკებისა და ქალ[illegible] სპორტსმენებთანაც. მაგალითად[illegible]

16 ფინალისტი სპორტიდან

ლიმა, 29 იანვარი. პერუს ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ ამხანაგური მატჩი მოუგო ტრნავის „სპარტაკს“ (ჩეხოსლოვაკია) — 3:2 (2:0).

კურიტიბა, 29 იანვარი. რუმინეთის ნაკრები განაგრძობს ტურნეს ლათინური ამერიკის ქვეყნებში. დიდი ინტერესი გამოიწვია რუმინელი ფეხბურთელების აქ გამართულმა შეხვედრამ ადგილობრივ „კურიტიბასთან“. ბრაზილიელები დამარცხდნენ — 1:2.

მეხიკო, 30 იანვარი. მექსიკის ნაკრებმა ფრედ (1:1) დაამთავრა მატჩი ბელგრადის „პარტიზანთან“. ანგარიში მეორე ტაიმის დასაწყისში 30 მეტრიდან ულიერესი საჯარიმო დარტყმით გახსნა მასპინძელმა ს. გალინდომ. ნახევარი საათის შემდეგ მანვე... ანგარიში გაათანაბრა: „პარტიზანის“ ერთ-ერთი ფეხბურთელის ძლიერად დარტყმული ბურთი გალინდოს ფეხში მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და მექსიკის ნაკრების კარში აღმოჩნდა.



ფეხბურთის მოყვარულებს ვთავაზობთ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშების მასპინძელი ქვეყნის — მექსიკის თავისებურ საფეხბურთო რუკას. მასში აღნიშნულია ყველა ის ქალაქი, სადაც ჩატარდება მატჩები, მათი სიმაღლე და მცხოვრებთა რაოდენობა.

მაგალითად, I ჯგუფის გუნდები — სსრ კავშირი, მექსიკა, ბელგია და სალვადორი თამაშობენ მეხიკოში. ქალაქი 2.240 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ზღვის დონიდან, მცხოვრებთა რაოდენობა აღემატება 6 მილიონს.

ფრთოსან ოსტატთა გზები

ულის მფრინავები სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავებით გამოდიან. ამიტომ არ შეიძლება ჩემპიონატის დებულება იმე შევადგინოთ, რომ სპორტსმენების ერთმა ნაწილმა წინასწარ მოიპოვოს �ირატესობა. ყველა მონაწილეს თანასწორი პირობები უნდა შეეუქმნათ. ეარი უნდა ვთქვათ ხელოვნურ შეზღუდვაზე, რაც მფრინავს ხელს უშლის საუთარ შესაძლებლობათა გამოვლენაში.

მაგალითად, ფრენის სიმაღლე წინა ჩემპიონატებში. მისი საზღვარი იყო: საალდებულო პროგრამით ფრენისთვის — 800 მეტრი, ნებისმიერი კომპლექსის შესრულებისას — 1000 მეტრი. ამ საზღვრის დარღვევისთვის დაწესებული იყო ჯარიმა — 300 ქულა. ხდებოდა ისე, რომ საუკეთესო მფრინავი ფინიშენელო შეცდომებისთვის ერთ ჯარიმაში 600-900 ქულას კარგავდა.

ჩვენი წინადადებით, კომისიამ ხმის ერიტვლესობით გადაწყვიტა მფრინავს ჰაერში უფრო თავისუფალი მანევრირების, ოსტატობის უფრო სრულად გამოვლენის საშუალება მისცეს. ამიტომ დაწესდა სიმაღლის საზღვარი — 1000 მეტრი ყველა კომპლექსისთვის. ამის ერდა, შემოღებულია ჯარიმების ახალი გრადაცია. მაგალითად, სიმაღლის 25 მეტრით გადაჭარბებისთვის — მხოლოდ 25 ქულა, 50 მეტრისთვის — 50 ქულა, 100 მეტრისთვის — 150 ქულა. 300 ქულით სპორტსმენი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჯარიმდება, თუ სიმაღლეს 150 მეტრზე მეტით გადააჭარბა.

კომისიამ მიიღო ჩვენი კიდევ ერთი წინადადება — კომპლექსების შესრულების ზონის გაფართოების შესახებ. ბაგდებურგში მიიღეს ზონა მოცულობით 800×1000 მეტრზე. ეს ხელს არ აძლევდა ჩემპიონატის ბევრ მონაწილეს, მათ შორის, საბჭოთა გუნდს: ოფენს თვითმფრინავს პმ იაკ-18-ს მაგალითად რამდენადმე მეტი რადიუსი აქვს, ვიდრე სხვა ტიპების მანქანებს. ახლა ზონა 900×1100 მეტრამდე გაფართოდება, ხოლო ამ ზონის დარღვევისთვის ჯარიმა 120-200-დან 50-მდე დაეკლებინა.

● კიდევ რა სიახლეებია მოსალოდნელი პირველობის ორგანიზაციაში?

— წინა ჩემპიონატებში, მათ შორის, მოსკოვის ასპარეზობაში, მონაწილეები ხუთ გაფრენას, ვარჯიშების ხუთ კომპლექსს ასრულებდნენ. ახლა, ბაგდებურგის გამოცდილების მიხედვით, მათი რიცხვი ოთხამდე შემცირდება — სამი ნახევარფინალში, ერთი — ფინალში. ამასთან, მეოთხე, ნებისმიერი კომპლექსი ფინალში განსხვავებული იქნება მესამისგან, ნახევარფინალურისგან: მასში ჩართული უნდა იყოს სრულიად ახალი ფიგურების 25 პროცენტი მაინც. ეს სანახაობრივადაც მიმზიდველი, საინტერესო იქნება და თითოეული მფრინავის შემოქმედებითი ინდივიდუალობის, საჰაერო ხელწერის უკეთ შეფასებაშიც დაგვეხმარება.

თუ ადრე ქალებისთვის მხოლოდ პირადი პირველობა ტარდებოდა, ახლა, საბჭოთა კავშირის წინადადებით, ისინიც პირად-გუნდურ შეჯიბრებას გამართავენ (იმ პირობით, თუ ჩემპიონატში გამოვა ქალთა სამი ეროვნული გუნდი მაინც სამ-სამი სპორტსმენის შემადგენლობით). ბაგდებურგში ხუთი ქვეყნის 16 მფრინავი ქალი გამოდიოდა. ვფიქრობთ, ახლა ეროვნული აეროკლუბებს ასალი სტიმული გაუჩნდებათ ქალთა ძლიერი გუნდების მომზადებაში.

ორი წლის წინ, V მსოფლიო ჩემპიონატში, გამარჯვებულები მხოლოდ ორ ვარჯიშში ვლინდებოდნენ — სავალდებულო და ნებისმიერ კომპლექსებში. სპორტსმენებს მთელი პროგრამის მიხედვით ენიჭებოდათ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება და ფაი-ს დიდი ოქროს მედალი გადაეცემოდათ. საბჭოთა დელეგაციამ წინადადება წამოაყენა, გამოვლინდნენ ჩემპიონები ოთხიდან ყველა ვარჯიშში ცალცალკე (ცნობილი სავალდებულო, უცნობი სავალდებულო და ორი ნებისმიერი კომპლექსი). სხვათა შორის, ასეთი წესი უკვე მიღებულია საპარაშუტო, საშვეულმფრენო და საპლანერო სპორტში. ჩვენი წინადადება მიიღეს.

● ჟურნალისტებს მოსკოვის ჩემპიონატიდან გვახსოვს, რა რთული პრობლემა იყო მსაჯობა, მასალების დამუშავება, შეჯიბრების შედეგების შესახებ ინფორმაციების მომზადება. რა გაკეთდა საიმისოდ, რომ მსაჯობა უფრო სრულყოფილი, ზუსტი, ობიექტური გახდეს?

— მსაჯთა ჩანაწერების დამუშავების დაჩქარებისთვის ბაგდებურგში ელექტრულ-გამოთვლელი მანქანები გამოიყენეს. ინგლისელები, მათივე სიტყვით, რადიოლოკაციური დანადგარების გამოყენებას აპირებენ, რათა უფრო ზუსტად იქნეს ფიქსირებული მონაწილეთა გაფრენის სიმაღლე და ზონაში ფიგურების შესრულების ადგილი (ცენტრიდან დაშორება). მაგრამ ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ისეთი ხელსაწყოები და ავტომატები, რომლებიც შეძლებენ ადამიანის შეცვლას ფიგურების შესრულების ხარისხის შეფასებაში.

ფაი-ს უმაღლესი პილოტაჟის კომისიამ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებები, რათა მსაჯობა უფრო ობიექტური და ზუსტი იყოს. მაგალითად, მსაჯთა ბრიგადის ცხრა წევრს დაუმატებენ მეათე სათადარიგოსაც, რათა არბიტრებიდან ვერავინ მიიღოს მონაწილეობა თავისი თანამემამულის გაფრენის შეფასებაში.

ზონაში თვითმფრინავის ფრენას თვალს ადევნებენ უკვე არა ადგილობრივი მსაჯები, არამედ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი საერთაშორისო არბიტრები.

ადრე ყოველი ფიგურის შესრულება ცალკე ფასდებოდა, მაგრამ მთლიანად კომპლექსის — მისი ერთიანობის, ჰარმონიულობის, ერთი ფიგურიდან მეორეზე გადასვლის შეფასება არ ხდებოდა. ახლა შემოღებულია სპეციალური წამახალისებელი კოეფიციენტი პროგრამის სირთულისთვის.

● ამ რამდენიმე წლის წინ საბჭოთა სპორტული თვითმფრინავი პმ იაკ-18 ფრენის მთელი რიგი მაჩვენებლებით სჯობდა სხვა ტიპების ანალოგიურ მანქანებს. რა მდგომარეობაა ახლა?

— პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ ქვეყანაში ინტენსიურად დაიწყეს მუშაობა VI მსოფლიო ჩემპიონატისთვის. მაგალითად, ჩაატარეს ეროვნული პირველობები და გუნდებისთვის უძლიერესი კანდიდატები შეარჩიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, გდრ-ში, გფრ-ში, უნგრეთში. გულმოდგინედ ვარჯიშობენ პილოტაჟის საუკეთესო ოსტატები სხვა ქვეყნებშიც. ჩემპიონატში მოსალოდნელია ახალი ტიპის სპორტული მანქანების მონაწილეობა. კერძოდ, ესაა შვეიცარიელი კონსტრუქტორისა და მფრინავ-სპორტსმენის ვაგნერის „აკრომასტერი“. რამდენიმე ასეთი თვითმფრინავი გფრ-ის აეროკლუბებმა იყიდეს. ჩეხოსლოვაკიაში მოდერნიზებულია ცნობილი თვითმფრინავი „ზეტი“. ახალ მოდელს ეწოდება „ზეტ 526 ლ-200“. დასასრულ, ამერიკელებმა გამოუშვეს „პიტს-სპეშიალი“. ამ მანქანებს კარგი საფრენოსნო-ტექნიკური დახასიათება აქვთ. რა თქმა უნდა, მათი ნამდვილი შეფასება მხოლოდ ჩემპიონატის დროს გახდება შესაძლებელი.

● თქვენი აზრით, ვინ შეავა საბჭოთა ეროვნულ ვაუთა და ქალთა ნაკრებ გუნდებში?

— კანდიდატი ბევრია, ხოლო წვრთნა და შესარჩევი შეჯიბრებები ჯერ კიდევ წინაა. მაგრამ ზოგიერთი მფრინავი მაინც შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, სამი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, ქვეყნის ჩემპიონი, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, 34 წლის კემეროვოელი ვ. მარტემიანოვი. გვყავს კიდევ ერთი ვეტერანი — ნოვოსიბირსკის აეროკლუბის მფრინავი-ინსტრუქტორი, მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, 29 წლის ა. პიმენოვი. ძლიერი მფრინავია კუიბიშეველი ინჟინერი ი. ეგოროვი, რომელიც კარგად გამოვიდა მაგდებურგში. ნაკრებში მოხვედრის შანსი აქვთ უმაღლესი პილოტაჟის ისეთ ოსტატებს, როგორიც არიან კემეროვოელი ინსტრუქტორ-მფრინავი ვ. პონომარიოვი, დონეცკელი სამთო ტექნიკოსი ვ. სამოილოვი, კრასნოიარსკელი ინჟინერი ე. კაინოვი და სხვა სპორტსმენები.

ქალებმა გუნდი სრულიად განაახლეს. ამ გუნდში მოხვედრაზე პრეტენზიას აცხადებენ ქვეყნის ბოლო პირველობათა ჩემპიონები და პრიზიორები: ტულელი ლ. ლეონოვა და მოსკოველი ზ. ლიზუნოვა, კუიბიშეველი ინჟინერი ს. პოდოლიაკი, კიევის აეროკლუბის წევრი ა. კუზმენკო, ლუგანსკელი ლ. მოჩალინა.

2:2

სანტ-იაგო, 29 იანვარი. ბრაზილიის „სანტოსმა“ ფრედ (2:2) ითამაშა თავისი პირველი მატჩი ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირში. ბრაზილიელები ზაგრების „დინამოს“ შეხვდნენ.

△ **ნაირობი.** 21 წლის ი. სანგმა აქ გამართულ შეჯიბრებაში 200 მეტრზე რბენაში კენიის ახალი რეკორდი დაამყარა — 20,4.

△ **ტოკიო.** როგორც საპოროს ზამთრის ოლიმპიადის ორგანიზატორები იტყობინებიან, „მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრებაში ნახტომების სიგრძეს ელექტრონული საწყოები გაზომავენ. ამ მანქანების გამოცდა მოხდება ჩეხოსლოვაკიაში, მსოფლიო პირველობის დროს.

△ **გრენობლი.** სპორტის სასახლის ყინულის მოედანს, სადაც შარშანწინ ფიგურულ მოციგურავეთა და ჰოკეისტთა ოლიმპიური შეჯიბრებები ჩატარდა, სულ მალე სპეციალისტები საფრანგეთში უდიდეს დახურულ ველოდრომად გადააკეთებენ. აქ კალათბურთსა და მძლეოსნობაში ტურნირების გამართვაც იქნება შესაძლებელი.

რეკორდებისთვის ემზადებიან

ტონეთში ჩამოვა ფინეთის გუნდი, ლენინგრადში — ჰამბურგის ნაკრები, ყაზახეთში — დასავლეთ ბერლინის მოკრივეთა კოლექტივი. თავის მხრივ, უზბეკეთის მოკრივეები სირიასა და აღჟირში გაემგზავრებიან, ლენინგრადისა — ფინეთში, ყაზახეთისა — წიგერიასა და კამერუნში. 7-10 მაისს რიგაში და 22-26 ნოემბერს ლენინგრადში საერთაშორისო ტურნირები გაიმართება. ნოემბერში ორი დიდი შეჯიბრება ელით იუნიორებს: ევროპის პირველობა უნგრეთში, და „ოლიმპიური იმედების“ ტურნირი — ბულგარეთში.

საკავშირო შეჯიბრებათა კალენდარი მაისში დაიწყება სსრ კავშირის თასის გათამაშებით — კუიბიშევში (25-31). სექტემბერში მოკრივეები უძლიერესის სახელისთვის იბრძოლებენ ლენინგრადში (14-23) და კაუნასში (24 სექტემბერი-4 ოქტომბერი). სსრ კავშირის ახალგაზრდული ჩემპიონატები ჩატარდება ივლისში: იუნიორებისთვის — ბარნაულში (15-17), 17 წლამდე ასაკის სპორტსმენებისთვის — სევასტოპოლში (23-31).



კვლავ თბილისში

10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა ტრადიციულ სამატჩო შეხვედრებს სპორტულ ტანვარჯიშში საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტებს შორის.

ჯერ კიდევ 1960 წელს თბილისელებმა უმასპინძლეს მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტების ქალთა და ვაჟთა გუნდებს. ამ შეჯიბრებაში პირველობა ქართველ სპორტსმენებს დარჩათ.

მას შემდეგ ჩვენი უნივერსიტეტის წარგზავნილებმა ბევრი შეხვედრა ჩაატარეს და დამსახურებულ გამარჯვებებსაც მიაღწიეს. მეორე ტრადიციული მატჩი ლენინგრადში ჩატარდა. აქ გაიმარჯვა ქართველმა სტუდენტმა ვერა ადამაშვილმა, მერე მოსკოვში ყველას აჯობა სიმონ სხირტლაძემ.

დღეისთვის ამ სამატჩო შეხვედრის მონაწილე გუნდების რიცხვმა საგრძნობლად იმატა. შეჯიბრებაში უკვე საბჭოთა კავშირის 8 ქალაქის უნივერსიტეტების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

საიუბილეო მატჩმა გუშინ კვლავ თბილისში აიღო სტარტი. სარბიელზე გამოდიან მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, რიგის, კიშინიოვის, ვილნიუსის, ოდესისა და თბილისის გუნდები.

თბილისის უნივერსიტეტის სახელს დაიცავენ: ქალებიდან — წარჩინებული სტუდენტები, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები, საერთაშორისო სპორტის ოსტატი რ. ბერიაშვილი, სპორტის ოსტატები ნ. ჯიჯეიშვილი, ლ. გათენდაშვილი, ვ. სმაგინა და ი. ბოგოლიუბოვა, ვაჟებიდან — სპორტის ოსტატები ყ. ღუდუშაური, შ. აზარაშვილი, ე. ეესუზიანი, გ. ანდრიაშვილი, სპორტის ოსტატობის კანდიდატები ე. თარგამაძე, ბ. დეგტიარიოვი.

ც. აბუაშვილი,
სპორტის ოსტატი.

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატები

ცსკა — ერთპირველი ლიდერი დამატებით დროში

28 და 29 იანვარს გაინართა ვაჟთა ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

კაუნასი. „დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) 77:69, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი) 88:71, „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „დინამო“ (მოსკოვი) 99:97 (დამატებით დროში), „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (თბილისი) 80:67, „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი) 96:71, „დინამო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) 80:70.

კიევი. ცსკა — „კალევი“ (ტარტუ) 86:79, „სტროიტელი“ (კიევი) — ასკ (რიგა) 88:72, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — ასკ (კიევი) 75:74, ცსკა — „სტროიტელი“ (კიევი) 80:70. „კალევი“ (ტარტუ) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — 91:84, ასკ (რიგა) — ასკ (კიევი) 69:65.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 იანვრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	14	12	2	1178—1004	12
„სტროიტელი“ (კიევი)	14	11	3	1169—1021	11
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	14	11	3	1129—1048	11
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	14	10	4	1114—1002	10
„დინამო“ (მოსკოვი)	14	8	6	1200—1158	8
„კალევი“ (ტარტუ)	13	8	5	1045—1034	8
„დინამო“ (თბილისი)	13	7	6	956—1005	7
ასკ (კიევი)	14	5	9	1019—998	5
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	14	3	11	1050—1203	3
ასკ (რიგა)	14	3	11	1015—1130	3
„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)	14	3	11	1038—1164	3
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	14	2	12	1051—1202	2

• • •

რიგასა და ელექტროსტალში გრძელდება ქალთა ჩემპიონატი. მოგვყავს მეორე და მესამე ტურების შედეგები.

რიგა. „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — სპი (თბილისი) 63.50, ტტტ (რიგა) — „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი) 69:62, „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — „უნივერსიტეტი“ (ტარტუ) 55:47, სპი (თბილისი) — „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი) 80:78 (დამატებით დროში), ტტტ (რიგა) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 63:61, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „უნივერსიტეტი“ (ტარტუ) — 61:43.

ელექტროსტალი. „დინამო“ (მოსკოვი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 80:61, „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) 65:46, „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) — „დინამო“ (კიევი) 69:52, „დინამო“ (მოსკოვი) — „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) 60:56, „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) 44:34, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „დინამო“ (კიევი) 58:71.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 იანვრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (მოსკ. ოლქი)	3	3	0	167—136	3
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	3	3	0	183—149	3
ტტტ (რიგა)	3	3	0	196—175	3
„დინამო“ (მოსკოვი)	3	2	1	208—189	2
„კიბირკშტისი“ (ვილნიუსი)	3	2	1	162—151	2
„დინამო“ (კიევი)	3	2	1	195—195	2
„ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი)	3	1	2	172—169	1
„სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი)	3	1	2	208—212	1
სპი (თბილისი)	3	1	2	182—205	1
„პოლიტექნიკა“ (კაუნასი)	3	0	3	157—184	0
„უნივერსიტეტი“ (ტარტუ)	3	0	3	153—184	0
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	3	0	3	175—209	0

პირველი საგზური — ა. კალიაგინას

თბილისის ზამთრის რესპუბლიკურ საცურაო აუზში დამთავრდა საქართველოს უძლიერეს წყალში მხტომელთა პირადი პირველობა. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის წარმომადგენლები.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა საპრიზო ადგილი თბილისელებმა მოიპოვეს. პერიფერიების სპორტსმენთა ცუდი გამოსვლა იმით აიხსნება, რომ ბათუმელ და სოხუმელ სპორტსმენებს, მაგალითად, ზამთრობით ნორმალურად ვარჯიშის საშუალება არა აქვთ (აუზები არ თბება), ხოლო ქუთაისელებს აქამდე საერთოდ არ ჰქონდათ საჭირო ბაზა. ახლახან ამ ქალაქში აუზების კომპლექსის მშენებლობა დამთავრდა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქუთაისელი სპორტსმენები გაამართლებენ იმედს. კომპლექსს 3 აუზი აქვს: მოცურავეებისა და წყალბურთელებისთვის (50×21 მ), წყალში მხტომელებისთვის (25×20 მ) და ახალბედებისთვის (20×10 მ). ახალი ბაზის საექსპლოატაციოდ გადაცემა მით უფრო სასიხარულოა, რომ ახლოსაა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადა. ამ ასპარეზობაში, წყალში ხტომის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით, დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომლებიც 1970-1971 წლებში ერთხელ მაინც შეასრულებენ სპორტის ოსტატის ნორმატივს.

სურათზე: ა. კალიაგინა. ფოტო ავტორისა.

თბილელმა სპორტის ოსტატმა ა. კალიაგინამ მეტრიანი ტრამპლინიდან და კოშკიდან სტომაში 176,75 ქულა მოაგროვა და პირველმა მოიპოვა სპარტაკიადის საგზური.

საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის ვ. ინწკირველის იმედს ამართლებს ნიჭიერი, პერსპექტიული გოგონა, თბილისის მე-9 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე გ. რუხაძე. ამას წინათ თბილისის პირად პირველობაში მან III ადგილი მოიპოვა კოშკიდან ხტომაში, ამ ტურნირში კი პირველი იყო, ხოლო საერთო ჯამში IV ადგილზე გავიდა.

მეორე პერსპექტიული სპორტსმენი, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ა. ბართაია შეჯიბრების დასაწყისში ლიდერთა ჯგუფში იყო, მაგრამ ერთ-ერთი ნახტომი უნებლიედ ცუდად შეასრულა და ნოლი მიიღო. ამით იგი საპრიზო ადგილისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

პერსპექტიული წყალში მხტომელები გამოჩნდნენ ბათუმის გუნდში: 14 წლის ა. ანთაძე და 12 წლის ლ. სტრელნიკოვა.

წერილის დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ასპარეზობის მსვლელობის დროს სინათლე გამოირთო. მართალია, ელექტრომონტიორებმა მალე მოაგვარეს საქმე, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ამას უბედური შემთხვევაც მოჰყოლოდა, ვთქვათ, სინათლე სწორედ მაშინ გამორთულიყო, როცა რომელიმე სპორტსმენი კოშკზე არავინს აკეთებდა? პირველი შემთხვევა რომ იყოს, არაფერს ვიტყოდით, მაგრამ ასეთი რამ ადრეც მომხდარა წყალში მხტომელთა შეჯიბრებისას თუ მოცურავეთა წვრთნის დროს.

ა. გურასაშვილი.

• • •

ტექნიკური შედეგები

ქალები. ა. კალიაგინა („განთიადი“) — 176,75 ქულა, ნ. ცოცხალაშვილი (ასკ) — 156,98, ნ. კიშკო („შრომითი რეზერვები“) — 131,55. ვაჟები. რ. არუთინოვი (ასკ) — 187,27 ქულა, ნ. პოგონია („განთიადი“) — 173,29, ვ. კირაკოსიანი (ასკ) — 170,64.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, **დეკანეებისთვის** — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-98-81.



ტურნირი — პირველად, ადგილიც — პირველი

თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის ფრენბურთელ ქალთა გუნდმა წარმატებით იასპარეზა ოდესაში — ოთხი ტექნიკუმის წარმომადგენელთა ტურნირში. აღსანიშნავია, რომ ასეთი შეჯიბრება პირველად ჩატარდა.

საქართველოს სპორტსმენებმა იოლად დაამარცხეს ხერსონის თევზმრეწველობის ტექნიკუმისა (3:0) და ხარკოვის ვაჭრობის ტექნიკუმის ფრენბურთელები (3:1), ფინალში კი დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს ოდესის სამრეწველო ავტომატიკის ტექნიკუმის გუნდს (3:2) და I ადგილიც დაისაკუთრეს.

ვ. ბუკინი.





◆ ალმა-ათა, 30 იანვარი. ადგილობრივი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, 22 წლის ვ. ტროიცკიმ მედიუს მალალმთიან საციგურაოზე დღეს ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა 1500 მეტრზე რბენაში — 2.03,83. იგი ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე შეჯიბრებაში მონაწილეობდა. საბჭოთა კავშირის ძველი რეკორდი (2.04,3) 1968 წლიდან ეკუთვნოდა მოსკოველ ვ. კაპლანს.



✦ ზუგდიდი

დოსააფის საქალაქო კომიტეტმა ჩაატარა მოსწავლეთა პირველობა ტყვიის სროლაში. ყველას აჯობა მე-6 საშუალო სკოლის ნაკრებმა. გოგონათა პირად პირველობაში ამ სკოლის მოსწავლემ ვ. მუნჩავამ გაიმარჯვა. ჭაბუკებში პირველობა არავის დაუთმო ი. ციხცაძემ (მე-2 სკოლა).

ბ. ალფიბაია.

✦ ვალე

„ღია რინგზე“ აქ გამართულ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს ვ. დიასამიძემ, ვ. გატიკაშვილმა, ა. აფციაურმა, დ. გრიგორიანმა, ბ. ცხვირაშვილმა, ვ. გეგრამაძემ და გ. აკოფოვმა.

ლ. გიორგაძე.